

12/13/2017



ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია  
The Association of Young Financiers and Businessmen

ენერგოსექტორში მოქმედი ტარიფების ანალიზი

*კვლევის ავტორი: ანდრია გვიდიანი*

## შინაარსი

შესავალი .....	3
სატარიფო რეგულირების ზოგადი მიმოხილვა .....	4
რეგულირება და ინვესტიციების დაცვის რისკები .....	4
ელექტროენერგეტიკული სექტორის ზოგადი მიმოხილვა .....	5
ელექტროენერგეტიკული დარგის სტრუქტურული ანალიზი.....	5
ელექტროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივა .....	5
ელექტროენერჯის ტარიფის აგებულება.....	6
ბუნებრივი აირის სექტორი .....	8
ბუნებრივი აირის ბაზრის სტრუქტურა .....	8
ბუნებრივი აირის ტარიფის სტრუქტურა და მისი ანალიზი.....	9
წყალმომარაგების სექტორი.....	11
წყლის ტარიფის აგებულება და მისი ანალიზი .....	11
წყლის სექტორი და სახელმწიფო პოლიტიკა.....	12
მომხმარებელთა უფლებები .....	13
ძირითადი მიგნებები .....	15
რეკომენდაციები.....	15

## შესავალი

ენერგეტიკის სექტორის განვითარების სტრატეგიულ მიზანს ენერგორესურსებზე თავისუფალი წვდომა და ამ რესურსების მიწოდების საიმედოობა წარმოადგენს. რესურსების რაციონალური ათვისება, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის მთავარი ამოცანაა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ენერგოპოტენციალის მაქსიმალური ათვისება და გენერაციის ობიექტების მშენებლობა, ქვეყნების განვითარების უპირობო თავსატეხია. ასევე, ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, რესურსების ათვისების პარალელურად, მნიშვნელოვანი ყურადღება გარემოზე ზემოქმედებისა და კლიმატის ცვლილებების საკითხს ექცევა.

ენერგოსექტორის განვითარების პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს მტკივნეული საკითხი არის ენერგომატარებლების ტარიფები. შინამეურნეობების მოხმარებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს სწორედ ენერგორესურსებზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს. შესაბამისად, ხშირად ენერგომატარებლების ტარიფების თემით ხდება პოლიტიკოსებისა თუ სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან ენერგორესურსების ფასებით სპეკულირება.

აღსანიშნავია, რომ ენერგორესურსების ტარიფები მრავალწახნაგოვანია და მომხმარებლების მიერ მოხმარებულ ენერგორესურსის ფასში ბევრი კომპონენტი მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად მიუღებელია ტარიფებთან დაკავშირებით უაპელაციო განცხადებების გაკეთება, რომელიც ძირითად შემთხვევებში პოლიტიკოსების მხრიდან მხოლოდ პოლიტიკური ქულების მოპოვების მცდელობას წარმოადგენს.

## **სატარიფო რეგულირების ზოგადი მიმოხილვა**

ტრადიციულად ქვეყნის ენერგეტიკული სექტორი ე. წ. „ბუნებრივ მონოპოლიად“ განიხილება. შესაბამისად, აღნიშნული სექტორი რეგულირების აუცილებლობის არეალში ხვდება. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ენერგოსექტორს საკუთარი მარეგულირებელი ორგანო ჰყავს, რაც იძლევა შესაძლებლობას კონკრეტული მარეგულირებელი ჩარჩოს მიხედვით, უზრუნველყოფილი იყოს ენერგორესურსების მოხმარება და მიწოდება.

სატარიფო რეგულირების ძირითადი პრინციპი მისი ეფექტურობით განისაზღვრება. კერძოდ, მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ თანაბრად დაცული იყოს როგორც მომხმარებლის, ისე რეგულირების ქვეშ მოქცეული კომპანიების ინტერესები. რა თქმა უნდა, თითოეული კომპანიის ოპერირება უნდა წარმოადგენდეს მომგებიან საქმიანობას, რაც, შესაბამისად, უზრუნველყოფს სექტორში ახალი ინვესტიციების მოზიდვის და კომპანიების განვითარების შესაძლებლობას.

ტარიფების დადგენის პროცესში ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას რეგულირების პროცესის გამჭვირვალობა წარმოადგენს. გამჭვირვალე სატარიფო რეგულირება სრულად უნდა გამორიცხავდეს მარეგულირებელი კომისიის მხრიდან სხვადასხვა კომპანიების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესა დამოკიდებულება. კერძოდ, კომისიის მიერ დაინერგა საერთაშორისოდ აღიარებული სატარიფო რეგულირების მეთოდოლოგია, რაც ერთმნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია.

## **რეგულირება და ინვესტიციების დაცვის რისკები**

რეგულირების ეფექტური მეთოდოლოგია მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს კომისიის წევრების მხრიდან პირადი შეხედულებების მიხედვით, დისკრიმინაციულ მიდგომებს. ამასთან, ინსტიტუციურად გამართული მეთოდოლოგიის მთავარი ხიბლი კომისიაზე პოლიტიკური გავლენის რისკის შემცირება და კომპანიების ინტერესების ხარჯზე ე.წ. „პოლიტიკური ტარიფის“ დაწესების აღმოფხვრა უნდა იყოს.

რეგულირების ქვეშ მოქცეული კომპანიების მხრიდან, კომისიის დამოკიდებულების მიმართ გარკვეული შენიშვნები არსებობს. კერძოდ, კომპანიების ნეგატიური დამოკიდებულება შეინიშნება გაწეული ხარჯების ტარიფში არ ასახვის მიმართულებით. კომპანიებს არაერთხელ გამოუთქვამთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კომისიის მიერ არ ხდება ყველა ხარჯის ტარიფში ასახვა, რაც, თავის მხრივ, კომპანიების განვითარებას მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ კომისია კომპანიების განვითარების ხარჯზე ცდილობს ე.წ. „სოციალური ტარიფების“ შენარჩუნებას.

სატარიფო რეგულირების მთავარი პრინციპი მოსახლეობის ინტერესების დაცვის პარალელურად, უნდა იყოს ინვესტიციების და ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების ინტერესების დაცვა. სექტორის განვითარებისთვის და გამართული

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი ინვესტიციების მოზიდვა. შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვის წახალისების მიზნით, საქარტო რეგულირების პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა ასახავდეს გაწეული ხარჯების და ინვესტიციების დაცვის გარანტიებს შესაბამისი ტარიფის უზრუნველყოფით.

### **ელექტროენერგეტიკული სექტორის ზოგადი მიმოხილვა**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, ენერგეტიკის სექტორის განვითარება წარმოადგენს. სექტორის გაძლიერების მთავარი ამოცანა, ენერგორესურსებზე თავისუფალი წვდომა და ამ რესურსების მიწოდების საიმედოობაა. დარგის განვითარების პროცესში, რესურსების რაციონალური ათვისება, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის მთავარი ამოცანაა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ენერგოპოტენციალის მაქსიმალური ათვისება და გენერაციის ობიექტების მშენებლობა, ქვეყნების განვითარების უპირობო თავსატეხია.

საქართველოში მოქმედი ელექტროენერგეტიკული სექტორის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტებით: ელექტროენერჯის მწარმოებლები, ელექტროენერჯის იმპორტიორები, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, გადაცემის ლიცენზიატები, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, განაწილების ლიცენზიატები, ექსპორტიორები, პირდაპირი და საცალო მომხმარებლები.

### **ელექტროენერგეტიკული დარგის სტრუქტურული ანალიზი**

საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ის ჰიდროპოტენციალი, რომელიც ქვეყანას გააჩნია. როდესაც საუბარია ქვეყნის რესურსებზე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96.5 კმ<sup>3</sup>-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15,550 მეგავატის ეკვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური პოტენციური ენერჯია - 50 მლრდ კვტ. საათის ეკვივალენტური.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ქვეყნის მთლიანი პოტენციალის დახლოებით 20% არის ათვისებული, რაც საშუალოდ 3000 მგვტ-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ასეთი სტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებული რესურსების ათვისება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

### **ელექტროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივა**

ჰიდრორესურსების ათვისება და ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის აუცილებლობას ელექტროენერჯის მოხმარების ანალიზიც ადასტურებს. საქართველოში ელექტროენერჯის წლიური წარმოება 2007-2015 წლების პერიოდში 30%-ით გაიზარდა - 8346 მლნ. კვტ.სთ-დან 10833 მლნ. კვტ.სთ-მდე. დროის ამ შუალედში, ელექტროსისტემას დაემატა 420 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები. ქვეყნის ენერგომომხმარების დაახლოებით მეხუთედი ელექტროენერჯიას უჭირავს (2014 წელს - 21%). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიდა მოხმარება განხილულ პერიოდში (2007-

2015 წწ) 33%-ით გაიზარდა - 7815 მლნ. კვტ.სთ-დან 10382 მლნ. კვტ.სთ-მდე. მათ შორის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე - 31%-ით, ხოლო აფხაზეთში - 43%-ით. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უზრუნველყოფა პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით არსებული ჰიდრო და თბოელექტროსადგურებით ხორციელდება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2007-2015 წლებში ქვეყანაში ელექტროენერჯის ადგილობრივი წარმოების ჯამური ზრდა, 3%-ით ჩამორჩება მოხმარების ჯამურ ზრდას, ხოლო იმპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობა 61%-ით არის გაზრდილი.

გარდა ამისა, თუ გავანალიზებთ ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ეტაპობრივ ზრდას და სამომავლო პროგნოზებს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ელექტროენერჯის მოხმარების საპროგნოზო მაჩვენებლები საკმაოდ დიდია. ელექტროენერჯის მოხმარება-მიწოდების პროგნოზისა და ანალიზის დროს, ნაგულისხმევია, რომ წლიურად საქართველოს ელ.ენერჯის მოხმარება დაახლოებით 5%-ით გაიზრდება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული 5% მხოლოდ საპროგნოზო ციფრია და რეალურად, მოთხოვნის ზრდის ფაქტობრივ მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, ხშირ შემთხვევაში, ზრდა 5%-ზე მეტი გამოდის.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი ელექტროენერჯის მოხმარება 11.29 მლრდ. კილოვატ-საათია. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლიურად საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 5%-ით გაიზრდება, 10 წელიწადში დაახლოებით, 17.51 მლრდ. კილოვატ-საათი ენერჯის მოთხოვნა გვექნება. საგულისხმოა, რომ 17,51 მლრდ კილოვატ-საათი ენერჯის მოხმარების დაკმაყოფილება 2 განსხვავებული წყაროდან იქნება შესაძლებელი. ერთი მხრივ, ეს იქნება იმპორტირებული ენერჯია და მეორე მხრივ, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერჯია, რომელიც ასევე, იმპორტირებული ნედლეულისგან იწარმოება. პირველი ვარიანტი, ანუ ელ.ენერჯის იმპორტი ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება, რამდენადაც, ელექტროენერგიაზე ფასი მუდმივად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და, მით უმეტეს, ზამთარში აღნიშნული ფასები პიკში ადის. გარდა ამისა, მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მეზობელ ქვეყანაზე დამოკიდებულების ზრდა არის, რაც საქართველოს ენერჯო და პოლიტიკური უსაფრთხოების კუთხით, საკმაოდ დიდი ტვირთია. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, რაც თბოსადგურების მაქსიმალურ დატვირთვას ნიშნავს, ბუნებრივია, აქაც საკმაოდ დიდი პრობლემები წარმოიშვება. ერთი მხრივ, თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ენერჯია საკმაოდ ძვირადღირებულია და მეორე მხრივ, აქაც ენერგეტიკული დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების პრობლემა დგება, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. ამდენად, ამ მასშტაბის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე ოპტიმისტური და გამართლებული გზა, შიდა გენერაციის წყაროების განვითარებაა.

#### **ელექტროენერჯის ტარიფის აგებულება**

ელექტროენერჯის ტარიფი თითოეული სუბიექტისთვის ინდივიდუალურად დგინდება. კონკრეტული კომპანიისათვის დაწესებული ტარიფი უნდა მოიცავდეს ამ კომპანიის ყველა მიზანშეწონილ დანახარჯს.

ელექტროენერჯის ტარიფი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ესენია, – ელექტროენერჯის გენერაცია, გატარება-დისპეჩერიზაცია და განაწილება-დისტრიბუცია. თავის მხრივ, ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიების შემთხვევაში, ტარიფი კიდევ რამდენიმე კომპონენტად იყოფა და სულ 5 ნაწილისგან შედგება. ესენია, – ნორმატიული დანაკარგები, კაპიტალური დანახარჯები, საოპერაციო დანახარჯები, ელექტროენერჯის შესყიდვა და საპროგნოზო ინვესტიციები.

ზემოაღნიშნული კომპონენტების კონკრეტული დანახარჯების დადგენის შემდეგ, მარეგულირებელი ორგანო ამ ხარჯების გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეული მონაწილე კომპანიისათვის მოგების ოდენობას და ადგენს საბოლოო ტარიფს, რომელიც უნდა გადაიხადოს მომხმარებელმა, რათა ელექტროსექტორმა მიიღოს თავისი ხარჯების დასაფარად და მოგების მისაღებად საჭირო რაოდენობის შემოსავალი.

## **ბუნებრივი აირის სექტორი**

საქართველოს თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია სტრატეგიული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. შესაბამისად, საქართველო სრულფასოვნად ჩართულია ბუნებრივი გაზის ტრანზიტის საქმიანობაში. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენები ჩრდილოეთს სამხრეთთან (რუსეთს სომხეთთან) და აღმოსავლეთს დასავლეთთან (აზერბაიჯანს თურქეთთან) აკავშირებს.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. გაზსადენით, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება და საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება (221 კმ), შესაძლებელია ბუნებრივი აირის მიწოდება საქართველოსა და სომხეთისთვის. სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP) 2006 წლის ბოლოდან მოქმედებს, როდესაც მოხდა ბუნებრივი გაზის მიწოდება საქართველოსთვის და აზერბაიჯანისთვის, ხოლო 2007 წლის ივლისიდან შაჰ-დენიზის პირველი ფაზიდან გაზი მიწოდება თურქეთს.

საქართველო ასევე ჩართულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების (SCPx) პროექტში. სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემა დაუკავშირდება ტრანს-ანატოლიის გაზსადენს (TANAP) აღმოსავლეთ თურქეთის საზღვარზე, რომელიც თავის მხრივ დაუკავშირდება 1900 კმ-თ დაშორებულ ტრანს-ადრიატიკის გაზსადენს (TAP) დასავლეთ თურქეთის საზღვარზე. ტრანს-ადრიატიკის გაზსადენი კვეთს საბერძნეთსა და ალბანეთს, საიდანაც იგი ადრიატიკის ზღვის ფსკერზე მდებარე მილსადენით სამხრეთ იტალიისაკენ მიედინება. ტრანს-ადრიატიკის გაზსადენის სრული სიგრძეა 870 კმ.

### **ბუნებრივი აირის ბაზრის სტრუქტურა**

შინამეურნეობების ენერგორესურსების მოხმარებაში ყველაზე დიდი წილი ბუნებრივ აირზე მოდის და მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში დაახლოებით 33% უჭირავს.

ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ბუნებრივი გაზის სექტორში ხდება ქსელურ საქმიანობასთან დაკავშირებული ორი ტიპის ლიცენზიის გაცემა (ტრანსპორტირება და განაწილება).

ბუნებრივი აირის ბაზრის წესებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, როდესაც ბაზრის დერეგულირება მოხდა, მას შემდეგ ბუნებრივი გაზის ბაზარი წარმოადგენს პირდაპირი კონტრაქტების ბაზარს. მიმწოდებლებს და მომხმარებლებს შორის ფორმდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი კონტრაქტები. ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორში სამი უმსხვილესი ლიცენზიატია: შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, რომლის სალიცენზიო არეალია ქ. თბილისის ძირითადი ნაწილი, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და სს „საქორგაზი“, რომლებიც ბუნებრივი გაზის განაწილებას საქართველოს 850-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში ახორციელებენ. სამივე ლიცენზიატის მიერ განაწილებული ბუნებრივი გაზის ჯამური მოცულობა მთლიანი განაწილებული მოცულობის დაახლოებით 90%-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დანარჩენი კომპანიების წილი მთლიანი განაწილების მოცულობაში მცირეა.



მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი გაზის განაწილება და მიწოდება განხილულია როგორც სხვადასხვა საქმიანობა, განაწილების ლიცენზიატებს არ ეკრძალებათ მიწოდების საქმიანობის განხორციელება, და, შესაბამისად, ლიცენზიატები ასევე წარმოადგენენ ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებს, ძირითადად მათი ბუნებრივი გაზის განაწილების სამოქმედო არეალში. ბუნებრივი გაზის ბაზარზე დომინირებული პოზიცია უჭირავთ „სოკარის“ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზარზე. კომპანიები იმპორტირებული და საბითუმო დონეზე შესყიდული ბუნებრივი გაზით ამარაგებენ არა მარტო მიმწოდებლებს, არამედ საცალო მომხმარებლებსაც. გარდა ამისა, დღესდღეობით ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედებს 30 ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია.

### **ბუნებრივი აირის ტარიფის სტრუქტურა და მისი ანალიზი**

ბუნებრივი გაზის მოხმარება ბოლო წლებში (2007–2016წწ.) 32%-ით გაიზარდა, 1.7 მლრდ. მ<sup>3</sup>-დან 2.2 მლრდ. მ<sup>3</sup>-მდე. ამ პერიოდში მოხმარების ყველაზე დიდი ზრდა საყოფაცხოვრებო სექტორში აღინიშნა - 55% (560 მლნ. მ<sup>3</sup>-დან 869 მლნ. მ<sup>3</sup>-მდე). სხვა ფაქტორებთან ერთად ზრდაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 2008 წლიდან მიმდინარე გაზიფიცირების პროგრამის ფარგლებში ახალი აბონენტების დამატებამ ქვეყნის მასშტაბით. განხილულ პერიოდში კომერციული სექტორის მოხმარება გაზრდილია 24%-ით (685 მლნ. მ<sup>3</sup>-დან 846 მლნ. მ<sup>3</sup>-მდე), რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზიც სატრანსპორტო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის ბუნებრივ გაზზე მასობრივი გადასვლაა.

2007–2016 წლებში თბოელექტროსადგურების სექტორის მოხმარება 15%-ით არის გაზრდილი (455 მლნ. მ<sup>3</sup>-დან 522 მლნ. მ<sup>3</sup>-მდე). თბოსადგურების მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარება ელექტროენერჯის გენერაციის საჭიროებასა და ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებაზე დამოკიდებული. შესაბამისად, ამ სექტორში ბუნებრივი გაზის მოხმარების ტენდენციას მკვეთრი რყევები ახასიათებს.

ბუნებრივი გაზის საცალო და საბითუმო ფასი, გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლების რეგულირებადი ნაწილისა და თბოელექტროსადგურებისა, დერეგულირებულია და ყველა სხვა მომხმარებელს ბუნებრივი გაზი ტარიფის დადგენის გარეშე მიეწოდება, მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ფასით. კომერციული სეგმენტი ბუნებრივ გაზს კომერციულ ფასად იძენს მიმწოდებელთან პირდაპირი ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასით, ხოლო „სოციალურ“ სეგმენტს (საყოფაცხოვრებო, თბოსადგურები) შედარებით იაფი გაზი მიეწოდება.

რაც შეეხება რეგულირებად სექტორს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია გამანაწილებელ კომპანიებს ტარიფის ზღვრულ ზედა ზღვარს უწესებს. კერძოდ, საოპერაციო დანახარჯები, რეგულირებადი აქტივების ბაზა, გასანაწილებელი მოცულობა, ნორმატიული დანაკარგების ღირებულება და ბუნებრივი აირის მისაწოდებელი ღირებულება, რომელიც 105\$ შეადგენს. რაც შეეხება თბოსადგურებს მათთვის ბუნებრივი აირის შესყიდვის ღირებულება 143\$-თ არის განსაზღვრული.

მიმდინარე წელს ბუნებრივი აირის ტარიფის გაანგარიშებაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რამოდენიმე მიმართულება. ერთ-ერთი საგრძნობი ცვლილება შეეხო ნორმატიული დანაკარგების შესავსები ბუნებრივი აირის ფასს. კერძოდ, მარეგულირებელმა კომისიამ ნორმატიული დანაკარგების შესავსებად ყველა კომპანიისათვის განსაზღვრა უნიფიცირებული ფასი 185 დოლარის ოდენობით. ერთი მხრივ, აღნიშნული ცვლილება კომპანიებს უზიარებს მაქსიმალურად შეამცირონ ნორმატიული დანაკარგების მოცულობა. მეორე მხრივ, სოციალური გაზი, ანუ ყველაზე იაფი რესურსი აღარ მიიმართება დანაკარგების შესავსებად. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ 2017 წელს დადგენილი ტარიფების მიხედვით, პირველად სამივე გამანაწილებელი კომპანიისათვის დადგინდა 1 განაწილების ტარიფი და ამავე დროს მოიშალა წნევის საფეხურები. რა თქმა უნდა, აღნიშნული ცვლილებები ბუნებრივი აირის სექტორის რეგულირებაში მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია.

## წყალმომარაგების სექტორი

დღეის მდგომარეობით, საქართველოს წყალმომარაგების სექტორში ოპერირებს წყალმომარაგების 9 ლიცენზიატი. კომპანიები წყლის მოპოვებას ახორციელებენ როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა წყაროებიდან. მათ მიერ 2016 წელს მოპოვებულმა წყალმა შეადგინა 683,739,387.25 მ<sup>3</sup>, საიდანაც ზედაპირული წყალაღება 194,268,133.82 მ<sup>3</sup> იყო, ხოლო მიწისქვეშა წყალაღება – 489,471,253.43 მ<sup>3</sup>.

### წყლის ტარიფის აგებულება და მისი ანალიზი

აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება მხოლოდ წელს მოხდა. ამ დრომდე მოქმედებდა 2008 წელს მიღებული მეთოდოლოგია, რომელიც ვერ პასუხობდა იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც იდგა წყალმომარაგების სექტორის წინაშე. კერძოდ, ძველი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სრულფასოვნად არ იყო გათვალისწინებული ხარჯების და მოგების ტარიფში ასახვის გზები.

რა თქმა უნდა, ცალსახად მისასაღებელია ახალი მეთოდოლოგიის მიღება. თუმცა, ახალ მეთოდოლოგიაშიც რჩება გარკვეული ხვრელები, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების ტარიფში ასახვის ინსტიტუციურად გამართული შესაძლებლობები. შესაბამისად, გარკვეული ტიპის ხარჯების ტარიფში ასახვა მხოლოდ კომისიის „კეთილ ნებაზე“ არის დამოკიდებული, რაც, ცხადია, კომპანიების განვითარებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მომხმარებლების გამრიცხველიანების საკითხი. წყალმომარაგების კომპანიები კომერციულ სექტორში დაწესებულ მაღალ ტარიფებს თავის სასარგებლოდ იყენებენ და, შესაბამისად, აღნიშნულ სექტორში მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა გამრიცხველიანებულია. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით საყოფაცხოვრებო სექტორში გამრიცხველიანების დონე ძალიან დაბალია. მნიშვნელოვანია კომისიის მხრიდან შემოღებულ იქნას საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გამრიცხველიანების წახალისების მექანიზმი. კერძოდ, თუ გადავხედავთ საქართველოს რეგიონებში საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გამრიცხველიანების დონეს და ამავე რეგიონებში მოქმედ ტარიფებს ვნახავთ, რომ ადეკვატური ტარიფის არსებობის შემთხვევაში კომპანიებს საყოფაცხოვრებო მომხმარებლების სეგმენტი გამრიცხველიანებული აქვს. მაგალითად, ბათუმში, სადაც მრიცხველიანი აბონენტებისთვის ტარიფი 51 თეთრს შეადგენს მომხმარებლების 100% გამრიცხველიანებულია, ხოლო მაგალითად თბილისში მრიცხველიანი აბონენტების ტარიფი ბათუმთან შედარებით, ორჯერ ნაკლებია და მხოლოდ 27 თეთრით არის განსაზღვრული. შესაბამისად, გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა დაახლოებით 25%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, აღნიშნულ სურათს ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს იმდენად, რამდენადაც დაბალი ტარიფის გამო კომპანიას არ აქვს მომხმარებლების გამრიცხველიანების სტიმული. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია მარეგულირებელი კომისიის მხრიდან

განხორციელდეს გონივრული სატარიფო პოლიტიკა სხვადასხვა წამახალისებელ მექანიზმებთან ერთად.

ტარიფის დათვლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას განხორციელებული ინვესტიციების სრულად ასახვა წარმოადგენს. როგორც ზევით აღნიშნა, წყალმომარაგების სექტორში მომავალი წლის ტარიფის დათვლა მიმდინარე წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის თანახმად მოხდება. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად სამართლიანად მოხდება ტარიფში ინვესტიციების კომპონენტის მონაწილეობა. აღნიშნულ ინტერესს ამძაფრებს ის გარემოება, რომ „ჯორჯიან უეთერ ენდ ფოურის“ მიერ მიმდინარე წელს წინა წლებთან შედარებით გაორმაგებული ინვესტიციები განხორციელა (2015წ - 20,680,932\$; 2016წ - 30,166,287\$; 2017წ - 62,470,492\$). ამდენად, მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ასახვა სამართლიანად განხორციელდეს.

#### **წყლის სექტორი და სახელმწიფო პოლიტიკა**

წყალმომარაგების სექტორში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კითხვებს ბადებს არის რეგიონებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები. 2018 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით, 255 მილიონი ლარი იხარჯება, ხოლო 2019 წლის პროგნოზი 365 მილიონი ლარია. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის კანონპროექტში გაწერილი მუხლების მიხედვით, ცენტრალური ბიუჯეტი ამჟამად ფინანსურ სახსრებს მხოლოდ რეგიონებში მიმართავს. ამას ემატება ისიც, რომ გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის რეგიონებში მოქმედი ტარიფები გაცილებით აღემატება თბილისში მოქმედ ტარიფებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში მოქმედი წყალმომარაგების კომპანიების დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. შესაბამისად, ჩნდება ეჭვები, რომ დარგში მოქმედი კომპანიებისადმი არსებობს არათანაბარი დამოკიდებულება.

## მომხმარებელთა უფლებები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეიძლება შეფასდეს ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, მეთოდოლოგიის დონეზე დაიხვეწა კომპანიების მხრიდან შესაბამის განცხადებებსა და მოთხოვნებზე რეაგირების ვადები. ასევე, მნიშვნელოვნად გამოსწორებულია ცხელი ხაზების მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები.

გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა „ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“, რომელიც ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებს ავალდებულებს, წარმოადგინონ კვარტლური და წლიური ანგარიში ელექტრომომარაგების საიმედოობის თაობაზე. გამანაწილებელმა კომპანიებმა, სხვა ინფორმაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ ელექტრომომარაგების საიმედოობის შემდეგი მაჩვენებლები (ქალაქების, დაბებისა და სოფლების ტერიტორიებისთვის):

- ✓ SAIDI (გამორთვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი);
- ✓ SAIFI (გამორთვების საშუალო სიხშირის ინდექსი);
- ✓ ENS (მიუწოდებელი ელექტროენერჯის რაოდენობა).

დღეისათვის კომისიას გააჩნია თითოეული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის საიმედოობის მონაცემები უკანასკნელი შვიდი წლისათვის. გარდა ამისა, კომისია გეგმავს, გამანაწილებელი კომპანიების ისტორიულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, განსაზღვროს საიმედოობის ინდივიდუალური სამიზნე მაჩვენებლები. ამასთან, იგეგმება გამანაწილებელი კომპანიების მიერ მიღწეული შედეგების ასახვა ტარიფში, ფინანსური წახალისების მექანიზმის მეშვეობით - სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შემთხვევაში ლიცენზიატები წახალისდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - დაჯარიმდებიან.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომის დანერგვა იგეგმება როგორც წყალმომარაგების, ისე ბუნებრივი აირის სექტორშიც. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომა, წახალისების მექანიზმების ერთობლიობა და სხვა მასტიმულირებელი ბერკეტები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

ბუნებრივი გაზის სექტორში მომსახურების ხარისხი ნაწილობრივ დარეგულირებულია 2016 წლის 25 ივლისს სემეკის მიერ მიღებული „მომსახურების კომერციული ხარისხის წესებით“, რომლის მიზანსაც წესებით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად, საწარმოს მიერ მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არ არის განსაზღვრული ბუნებრივი გაზის ტექნიკური ხარისხი და არ არსებობს ბუნებრივი გაზის ქსელის წესები, რაც ხელს უშლის ქსელის ოპერატორების საქმიანობის ტექნიკური

ხარისხის განსაზღვრასა და შეფასებას და ნეგატიურად აისახება როგორც მომხმარებლებზე, ისე მთლიანად სისტემის მდგრადობაზე და ბუნებრივი გაზის ბაზარზე მომსახურების არასაკმარის დონეს განაპირობებს.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ ენერგეტიკის სექტორში არსებობს ენერგომბუდსმენის ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა მომხმარებლების ინფორმირებულობის ამაღლება მათი უფლებების შესახებ. ასევე, ენერგოკომპანიების მხრიდან თავიანთი საქმიანობის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა და მომხმარებლების ინტერესების სრული დაცვის განხორციელება. ენერგომბუდსმენის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, გამუდმებით მზარდი ტენდენციით გამოირჩევა მოქალაქეების მხრიდან მიმართვიანობა. კერძოდ, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ენერგომბუდსმენის მუშაობის შედეგად, მომხმარებელთა სასარგებლოდ ჩამოწერილი თანხამ ჯამში 4.059.894 ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება წინა წლის (2015 წელი) საანგარიშო პერიოდს.

## ძირითადი მიგნებები

- ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომისია რეგულირების ქვეშ არსებულ სამივე სექტორში ითვალისწინებს კომპანიების საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. რა თქმა უნდა, აღნიშნული ცვლილება ერთმნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს კომპანიების ინტერესების დაცვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად.
- მისასალმებელია, რომ წყალმომარაგების სექტორში მიმდინარე წელს დამტკიცდა ახალი სატარიფო მეთოდოლოგია, რაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს აღნიშნულ სექტორში მოქმედი კომპანიების საქმიანობას.
- მარეგულირებლის მიერ დანერგილი მეთოდოლოგიების შემუშავების მიუხედავად, კომისიის მხრიდან არსებობს ერთპიროვნული და სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით გადაწყვეტილების მიღების რისკები. კერძოდ, ინსტიტუციურად არ არის გამართული კომპანიების მხრიდან გაჩეული ინვესტიციების და სხვა საოპერაციო ხარჯების ტარიფში ასახვის გარანტიები.
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მდგომარეობა. ასევე, მომსახურების განვითარების მიზნით მეთოდოლოგიაში ჩადებული წამახალისებელი მექანიზმები, უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებას.
- დადებითია ენერგომბუდსმენის ინსტიტუტის მუშაობის ხარისხი. ხაზგასასმელია, რომ წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება როგორც მიმართვიანობის, ისე ჩამოწერილი დავალიანებების რაოდენობა, რაც მიუთითებს ენერგომბუდსმენის ინსტიტუტის ეფექტურობაზე.

## რეკომენდაციები

- რეგულირების ქვეშ მოქცეული კომპანიების მხრიდან მუდმივად ისმის შენიშვნები რეგულირებული აქტივების ცვეთის ვადებთან დაკავშირებით. კომპანიების წარმომადგენლებთან ჩატარებული ღრმა ინტერვიუების ფონზე იკვეთება, რომ საქართველოში არაადეკვატურად მაღალია რეგულირებადი აქტივების ცვეთის ვადები, რაც არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, ყველანაირი ეჭვის და კომისიის მხრიდან შესაძლო სუბიექტური დამოკიდებულებების გასაქარწყლებლად, სასურველია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განხორციელდეს აუდიტორული კომპანიების „დიდი ოთხეულის“ ნებისმიერი წარმომადგენლის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, რაც შემდგომში რეგულირებადი აქტივების ცვეთის ვადების საკითხზე გახდება მარეგულირებელი კომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი.
- მნიშვნელოვანია წყალმომარაგების სექტორში კომისიის მხრიდან შემოღებულ იქნას საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გამრიცხველიანების კუთხით კომპანიების წახალისების მექანიზმი ან სხვა მოქნილი აღრიცხვის სიტემის დანერგვა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ კომერციულ სექტორში, სადაც მაღალი ტარიფია მომხმარებლების გამრიცხველიანების დონე 100%-ს აღწევს. თუმცა,

კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა საყოფაცხოვრებო სექტორში, სადაც ამ დრომდე არ ხდება მომხმარებლებისთვის მრიცხველების დამონტაჟება.

➤ მთელი ქვეყნის მასშტაბით, წყალმომარაგების სექტორისთვის განხორციელდეს თანხების ამოღების ადმინისტრირების ერთიანი მოდელი თბილისის მაგალითზე (წყლის საფასურის და ელექტროენერჯის გადასახადის ერთმანეთზე მიბმა). აღნიშნული რეფორმა გამოიცხადეს წყალმომარაგების სექტორში მოქმედი კომპანიების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომებს.

➤ ინვესტიციების დაცვის არსებული მიდგომა და სატარიფო რეგულირების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც კომპანიას თავისი საინვესტიციო გეგმების განსახორციელებლად შესაძლებლობა აქვს მოიზიდოს შესაბამისი ფინანსური რესურსი. თუმცა, კომისიის მხრიდან ტარიფის უცვლელად დატოვების, ანუ სახელმწიფოს მხრიდან „სოციალური ტარიფის“ შენარჩუნების მიზნით, არ ხდება კომპანიების მიერ წარდგენილი საინვესტიციო გეგმების სრულად გაზიარება. როგორც ზევით აღინიშნა, აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კომპანიების განვითარების კუთხით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოიძებნოს „ოქროს შუალედი“ ინვესტიციების დაცვის, ახალი ინვესტიციების მოზიდვასა და მოსახლეობის ინტერესებს შორის. შესაბამისად, უმჯობესი იქნება გადაიხედოს პოლიტიკა და ადეკვატური ტარიფების დაწესების პარალელურად, განხორციელდეს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის ტარიფის სუბსიდირება.